საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/248 " 29 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ვ. მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 23 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 28 დეკემბერს მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის განცხადება.

2020 წლის 29 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელდა კონსულტაციები თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 40-მდე მოსამართლე. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს ვასილ მშვენიერაძის კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები კარგად იცნობენ ვასილ მშენიერაძეს და ახასიათებენ მას როგორც კვალიფიციურ, გამოცდილ, კომუნიკაბელურ პიროვნებას რომელიც გამოირჩევა პირადი და პროფესიული უნარებით. მოსამართლეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ვასილ მშვენიერაძე 2 წელზე მეტი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, წარმატებით ახორციელებდა მენეჯერულ ფუნქციებს და იმედი გამოთქვეს, რომ ის ასევე წარმატებით გააგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვასილ მშვენიერაძე დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ 2020 წლის 30 დეკემბრიდან, 5 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე